

უძრავი ქონების შეფასებით დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა ასოციაციის მომართვის თანახმად, ვაქვეყნებთ განცხადებას, რომელმაც შესაძლოა დაგაინტერესოთ.

ღონისძიება, რომელიც იგეგმება 2018 წლის 02, 03 და 04 თებერვალს იგეგმება, განსაკუთრებით საინტერესოა უძრავი ქონების შეფასების სერტიფიკატის მფლობელთაგვის.

გთხოვთ, გაეცნოთ თანდართულ განცხადებას და პროგრამას.

ფედერაციის ადმინისტრაცია

მეგობრებო მოგესალმებით!

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა საზოგადოება, 2018 წლის 02; 03 და 04 თებერვალს აწყობს სემინარებს უძრავი ქონების შეფასების აქტუალურ საკითხებზე.

გთავაზობთ სამდღიანი სემინარების კურსს უძრავი ქონების შემფასებლებისათვის, რომელიც პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

სემინარებს ჩაატარებენ უკრაინის შემფასებელთა საზოგადოების დამსახურებული წევრები, უკრაინის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბიზნესის საერთაშორისო ინსტიტუტის პროფესორები, დიდი ბრიტანეთის დიპლომირებულ შემფასებელთა სამეფო ინსტიტუტის დამსახურებული წევრი, ევროპაში აღიარებული შემფასებელი - ბატონი ალექსანდრ დრაპიკოვსკი FRICS; REV და დიდი ბრიტანეთის დიპლომირებულ შემფასებელთა სამეფო ინსტიტუტის დამსახურებული წევრი, ევროპაში აღიარებული შემფასებელი - ქნი ირინა ივანოვა FRICS; REV, რომლებიც არიან საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე მრავალი წიგნისა და სტატიების ავტორები.

სამდღიანი სემინარების ანონსი, დეტალური პროგრამა და თემატური გეგმა შეგიძლიათ იხილოთ მიბმულ ფაილებში.

სემინარის მსვლელობისას განხილული იქნება უძრავი ქონების სხვადასხვა ტიპების შეფასების მეთოდოლოგია (ვაჭრობასთან დაკავშირებული ქონება; სპეციალიზირებული ქონება და სხვა).

ტრენინგები ჩატარდება 2-3-4 თებერვალს 09:30 დან 18:00 საათამდე ვაჟა-ფშაველას გამზ. 41, III სართული. ენა - რუსული. ღირებულება 1000 ლარი, დამოუკიდებელ შემფასებელთა საზოგადოების წევრებისათვის გადასახადის 70%-ს ფარავს საზოგადოება, წევრები გადაიხდიან მხოლოდ 300 ლარს, ხოლო იმ შემფასებლებისათვის რომელიც შემოიტანენ განაცხადს წევრობაზე და გადაიხდიან

ერთი წლის საწევროს, ფასდაკლება იმოქმედებს წევრების მსგავსად. (წევრობის სურვილის შემთხვევაში გადადით შემდეგ ლინკზე:

<http://ivsg.ge/ka/committee/sawevro-komiteti/3>).

მსმენელებს უნდა გააჩნდეთ საბაზისო ცოდნა და გამოცდილება უძრავი ქონების შეფასებაში. სასურველია იქონიონ თან ლეპტოპები - სემინარების მსვლელობისას გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა შედეგად შექმნილი ექსელის გამოთვლის სქემები დარჩება მონაწილეებს.

ახლო მომავალში იგეგმება სხვადასხვა სახის ქონების შეფასების სემინარები, როგორებიცაა, ბიზნესის შეფასება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შეფასება, არამატერიალური საკუთრების შეფასება და სხვა, რომელიც მოითხოვს საბაზისო ცოდნას უძრავ-მოდრავი ქონების შეფასების საკითხებში, ამდენად განგრძობითი სწავლებისათვის, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების მიზნებისათვის აქტუალურია მიმდინარე სემინარების მოსმენა.

სემინარების დასრულების შემდეგ გაიცემა მოსმენილი საათების დამადასტურებელი სერთიფიკატები.

P.S. დამატებითი კითხვებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ: + 995 551 51 55 94
თონა ჩაჩანიძე e-mail: info@ivsg.ge; +995 599 54 80 71 ნინო ბერაია,
e-mail: ninoberaia@gmail.com

პატივისცემით

საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
ბესიკ დიაკონიძე MRICS მის: მარშალ გელოვანის გამზირი №2, თბილისი
E-mail: info@ivsg.ge
www.ivsg.ge

იხილეთ დანართები:

- [სემინარის ანონსი](#)
- [სემინარის პროგრამა](#)
- [თემატიკის გეგმა](#)
- [სარეგისტრაციო ფორმა](#)